ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 11/ბ

2019 წ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში ,,შემსყიდველი'', მინისტრის მოადგილის გიორგი წოწკოლაურის სახით და მეორე მხრივ, შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპერტამენტი, შემდგომში ,,მიმწოდებელი", დაცვის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსის მამუკა ლიპარტელიანის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა (CPV 79700000) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, ,,იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლისა და "სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის N266 ბრძანების მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2020 წლის ასიგნებების ფარგლებში, დაცვის მომსახურების შესყიდვაზე, რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 2 200 (ორი ათას ორასი) ლარად (შემდგომში ,,ხელშეკრულების ფასი").

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ლიბანის ქუჩაზე N 31-ში მდებარე ობიექტი, დაცვა განხორციელდება 9 საათიანი გრაფიკით (უქმე დღეების გარადა დილის 9.00 დან 18.00 მდე) პოლიციის 1 (ერთი) ინსპექტორისა და 1 (ერთი) უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულით, სულ - 2 (ორი) პირი. **ობიექტის ერთი თვის დაცვის მომსახურების ღირებულება შეადგენს 2 200 (ორი ათას ორასი) ლარს** (მ/შ. ინსპექტორი – 1 200 (ერთი ათას ორასი) ლარი, უმცროსი ინსპექტორი – 1 000 (ერთი ათასი) ლარი).

3.2 ობიექტების დაცვას განახორციელებს შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ: 1 (ერთი) ინსპექტორის, 1 (ერთი) უფროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულით, სულ – 2 (ორი) პირი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. ვადები:

4.1.1 ობიექტის დაცვის მომსახურება განხორციელდება 2020 წლის 1 იანვრიდან - 2020 წლის 1 თებერვლამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ყოველთვიურად, ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ანაზღაურება განხორციელდება ერთჯერადად, მიღება-ჩაბარების აქტისა და შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, არაუგვიანეს მომდევნო თვის 20 რიცხვისა.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს შესყიდული მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. არ გაამყღავნოს ,,შემსყიდველის" სამსახურებრივი საიდუმლოება;

7.1.3. ,,ობიექტის" სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს დაცვა ცეცხლსასროლი იარაღით;

7.1.4. ,,პოლიციის შესახებ" კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

7.1.5. ,,მიმწოდებელი" ზარალისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს "მიმწოდებლის" მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

7.1.6. ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება, მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ,,შემსყიდველის" საბუღალტრო დოკუმენტაციას;

7.1.7. ,,შემსყიდველისათვის" მიყენებულ ფაქტიურ ზარალს აანაზღაურებს ,,მიმწოდებელი" სასამართლოს ან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

7.1.8. ,,მიმწოდებელი" პასუხისმგებლობას არ კისრულობს თუ:

• ,,შემსყიდველმა" არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, გამოკვლევის აქტების მოთხოვნები;

• თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დატოვებული იქნა დასაცავ ,,ობიექტში";

• მატერიალურ ფასეულობების ქურდობისათვის, თუ ქურდობა ჩადენილია ,,შემსყიდველის" მიერ ,,ობიექტის" დაცვისათვის ჩაუბარებლობის მიზეზით.

7.2. ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" ადეკვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობებისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშსწორების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

7.2.2. განახორციელოს გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება და ,,მიმწოდებელთან“ ერთად იზრუნოს ,,ობიექტის“ დაცვის სრულყოფისათვის;
7.2.3. ,,ობიექტის“ მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, არ შევიდეს მასში დაცვის თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა;
7.2.4. ,,მიმწოდებელს“ წინასწარ აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს ,,ობიექტზე“ მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: (,,ობიექტის“ დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოება და ა.შ.);
7.2.5. დაცვის თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს ,,მიმწოდებელს“;
7.2.6. ,,შემსყიდველს“ ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული მოკვლევის აქტით.

8. მხარეთა უფლებები
8.1. ,,მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. ,,შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დმოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ,,შემსყიდველი“ და ,,მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

14.2. ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი ვალდებულია 45 (ორმოცდახუთი) დღით ადრე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე.

14.3.ხელშეკრულება შეიძლება ცალმხრივად შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების შუალედურ და საბოლოო კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის მატერიალური უზრუნველყოფის და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი გ. გიორგობიანი.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 1 მარტამდე.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ქ. თბილისი, 0119, აკაკი წერეთლის გამზირი №144, საიდენტიფიკაციო კოდი: 202486559 **მინისტრის მოადგილე** _____ **გიორგი წოწკოლაური**	შსს სსიპ– დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ს/კ 211350928 ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-11 კმ სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE 22, ა/ა 707117293 **დაცვის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი** ---------- **მ. ლიპარტელიანი**

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

Digitally signed by Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia
Date: 2019.12.27 14:38:58 +04'00'

ხელწერილი

----- ---------- 2019 წ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ სრულიად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესს.

გ. წოწკოლაური

ა. ჟვანია

გ. გიორგობიანი

თ. შალამბერიძე